8001322808 (050814)

# ka ინსტალაციის ინსტრუქციები









1




2




3




4




**5**



**6**



**7**




**8**




**9**




**10**




**11**




**12**




**13**




**14**




**15**



**16**




**17**




**18**




**19**




**20**




**21**

| ID | Gas | Nz | Qn (kW) | m³/h | g/h | Bp | M |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| C | G20/20 mbar | 72 | 1,00 | 0,095 | - | 30 | B |
| C | G20/25 mbar | 68 | 1,00 | 0,095 | - | 30 | B |
| C | G25/20 mbar | 73 | 1,00 | 0,111 | - | 30 | B |
| C | G25.1/25 mbar | 72 | 1,02 | 0,111 | - | 30 | B |
| C | G25.3/25 mbar | 72 | 1,00 | 0,111 | - | 30 | B |
| C | G30/29 mbar | 50 | 1,00 | - | 73 | 30 | A |
| C | G30/37 mbar | 48 | 1,00 | - | 73 | 30 | A |
| C | G30/50 mbar | 43 | 1,00 | - | 73 | 26 | A |
| C | G31/37 mbar | 50 | 1,00 | - | 71 | 30 | A |
| D | G20/20 mbar | 100 | 1,75 | 0,167 | - | 32 | B |
| D | G20/25 mbar | 91 | 1,75 | 0,167 | - | 32 | B |
| D | G25/20 mbar | 100 | 1,75 | 0,194 | - | 32 | B |
| D | G25.1/25 mbar | 98 | 1,75 | 0,194 | - | 32 | B |
| D | G25.3/25 mbar | 98 | 1,80 | 0,195 | - | 32 | B |
| D | G30/29 mbar | 67 | 1,75 | - | 127 | 32/35 | A |
| D | G30/37 mbar | 63 | 1,75 | - | 127 | 32 | A |
| D | G30/50 mbar | 58 | 1,75 | - | 127 | 29 | A |
| D | G31/37 mbar | 67 | 1,75 | - | 127 | 32 | A |
| E | G20/20 mbar | 115 | 3,00 | 0,286 | - | 39 | B |
| E | G20/25 mbar | 110 | 3,00 | 0,286 | - | 39 | B |
| E | G25/20 mbar | 132 | 3,00 | 0,333 | - | 39 | B |
| E | G25.1/25 mbar | 128 | 3,00 | 0,333 | - | 39 | B |
| E | G25.3/25 mbar | 128 | 3,10 | 0,336 | - | 39 | B |
| E | G30/29 mbar | 85 | 3,00 | - | 218 | 39/42 | A |
| E | G30/37 mbar | 82 | 3,00 | - | 218 | 39 | A |
| E | G30/50 mbar | 74 | 3,00 | - | 218 | 35 | A |
| E | G31/37 mbar | 85 | 3,00 | - | 214 | 39 | A |
| F | G20/20 mbar | 103 | 3,30 | 0,314 | - | 61 | B |
| F | G20/25 mbar | 95 | 3,30 | 0,314 | - | 61 | B |
| F | G25/20 mbar | 109 | 3,30 | 0,366 | - | 61 | B |
| F | G25.1/25 mbar | 104 | 3,30 | 0,366 | - | 61 | B |
| F | G25.3/25 mbar | 104 | 3,40 | 0,369 | - | 61 | B |
| F | G30/29 mbar | 68 | 3,30 | - | 240 | 61 | A |
| F | G30/37 mbar | 62 | 3,30 | - | 240 | 61 | A |
| F | G30/50 mbar | 60 | 3,30 | - | 240 | 55 | A |
| F | G31/37 mbar | 68 | 3,30 | - | 236 | 61 | A |
| F | G20/20 mbar | 140 | 3,50 | 0,334 | - | 61 | B |

| ID | Gas | Nz | Qn (kW) | m³/h | g/h | Bp | M |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| F | G20/25 mbar | 134 | 3,50 | 0,334 | - | 61 | B |
| F | G25/20 mbar | 143 | 3,50 | 0,388 | - | 61 | B |
| F | G25.1/25 mbar | 137 | 3,50 | 0,388 | - | 61 | B |
| F | G25.3/25 mbar | 137 | 3,50 | 0,379 | - | 61 | B |
| F | G30/29 mbar | 91 | 3,30 | - | 240 | 61 | A |
| F | G30/37 mbar | 87 | 3,30 | - | 240 | 61 | A |
| F | G30/50 mbar | 81 | 3,30 | - | 240 | 55 | A |
| F | G31/37 mbar | 91 | 3,30 | - | 240 | 61 | A |

ka

## უსაფრთხოება მონტაჟის დროს

მოწყობილობის დამონტაჟებისას, გთხოვთ დაიცვათ მოცემული უსაფრთხოების ტექნიკის მითითებები.

- წაიკითხეთ ინსტრუქცია საფუძვლიანად.
- ამ ინსტრუქციაში მოცემული დასურათებები საორიენტაციო ხასიათისაა.
- მოხმარების უსაფრთხოება გარანტირებულია მხოლოდ დამოტაჟების ინსტრუქციის დაცვით კვალიფიცირებული აწყობისას. მონტაჟის სისწორისათვის პასუხისმგებელია მემონტაჟე.
- შეერთების შემდეგ შეამოწმეთ ჰერმეტულობა.

**⚠ გაფრთხილება – აფეთქების საშიშროება!**

გამოჟონილ გაზს აფეთქების გამოწვევა შეუძლია.

- ▶ ყველა სამონტაჟო, შესაერთებელი, დასარეგულირებელი და სხვა ტიპის გაზზე გადასაკეთებელი სამუშაოები უნდა შესრულებულ იქნას ავტორიზირებული სპეციალისტის მიერ, კანონით გათვალისწინებული სპეციპიკაციებისა და გამოყენებული რეგულაციების, ასევე რეგიონალური დენის და გაზის მიმწოდებლების წესდების გათვალისწინებით. განსაკუთრებით საყურადღებოა ვენტილაციასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციებისა და დებულებების გათვალისწინება. სხვა სახის გაზზე გადაკეთების შემთვევაში, გირჩევთ მომხმარებელთა მომსახურების სერვისს ცენტრს დაუკავშირდეთ.

**⚠ გაფრთხილება – საფრთხე: მაგნიტიზმი!**


ყურადღება, მაგნიტური ველი!


საფრთხე კარდიოსტიმულატორებით პირებისთვის

მართვის ელემენტის ძირში და მართვის ელემენტებში გამოიყენება მუდმივი მაგნიტოები. მათ შეუძლია ზემოქმედება ელექტრონულ სამედიცინო ტრანსპლანტანტებზე, მაგ.: კარდიოსტიმულატორი ან ინსულინის ტუმბო.

- ▶ ელექტრო იმპლანტების მქონე პირებმა უნდა დაიცვან მინიმალური მანძილი 10 სმ მართვის პანელამდე ან მართვის ელემენტამდე.
- ▶ მართვის პანელი და მართვის ელემენტები ტანთან ახლოს არ შეინახოთ.

- უზრუნველყავით შენობის საკმარისი განიავება, განსაკუთრებით გაზქურის გამოყენებისას.
- არ ჩართოთ მოწყობილობა გამომუშავებული გაზების გამწოვ სისტემასთან.
- აკრძალულია მოწყობილობის დამონტაჟება ნავებზე ან მანქანებში.
- გარანტია მოწყობილობაზე მოქმედებს მხოლოდ დანიშნულების მიხედვით გამოყენებისას.
- მოწყობილობის დაყენების წინ შეამოწმეთ მოწყობილობის პარამეტრების შესაბამისობა, რომელიც მითითებულია ტიპის ნიშნულზე (გაზის ტიპის და წნევა, სიმძლავრე, ძაბვა), რეგიონალურ მოთხოვნებთან.
- დაამაგრეთ კვების კაბელი კარადაზე, ისე რომ არ ეხებოდეს ღუმელის და კონფორის ცხელ მონაკვეთებს.
- ნებისმიერი სამუშაოს შესრულების წინ დაკეტეთ გაზის და ელექტროენერგიის მიწოდება მოწყობილობისთვის.
- დაამიწეთ ელექტრული მოწყობილობები.
- არ შეცვალოთ მოწყობილობის კონსტრუქცია. საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ მომსახურების ცენტრს.

## მონტაჟამდე

- მოწყობილობას მიენიჭა კლასი 3 EN 30-1-1 სტანდარტის შესაბამისად გაზის მოწყობილობებისთვის: ჩასაშენებელი ტექნიკა.
- ავეჯი, რომელშიც უნდა ჩაშენდეს მოწყობილობა, საიმედოდ უნდა იყოს დამაგრებული და მდგრადი.
- ავეჯის საგნები უშუალოდ მოწყობილობასთან ახლოს უნდა შესრულებული იყოს არა აალებადი და თერმომდგრადი მასალისგან.
- არ დააყენოთ ეს მოწყობილობა მაცივარზე, სარეცხ მანქანაზე და ჭურჭლის სარეცხ მანქანაზე, და ა.შ.
- ღუმელზე მოწყობილობა შეგიძლიათ დაამონტაჟოთ მოხლოდ კარადაში იძულებითი ვენტილაციის სისტემის არსებობის შემთხვევაში. დააზუსტეთ ღუმელის ზომები ღუმელის სამონტაჟო ინსტრუქციაში.
- ღუმელის კონფორის ქვეშ დაყენებისას, სამუშაო ზედაპირის საჭირო სისქე შეიძლება განსხვავდებოდეს ამ სახელმძღანელოში მოყვანილი ზომებისგან. ყურადღება მიაქციეთ ღუმელის სამონტაჟო ინსტრუქციას.
- ქურატის ზედა და გამწოვის ფილტრის ქვედა კანტს შორის მანძილი, უნდა შეესაბამებოდეს გამწოვის მწარმოებლის მითითებებს. თუ კონფორის მონტაჟის ინსტრუქციაში არ არის მითითებები გამწოვის განთავსების შესახებ, მანძილი მოწყობილობებს შორის უნდა იყოს მინიმუმ 650 მმ.

→ *გამ.* 1

## ავეჯის მომზადება

- ამოჭერით სამუშაო ზედაპირზე საჭირო ზომების ჭრილი.

→ *გამ.* 2

- თუ პანელს და ჩასაშენებელ ნიშას შორის მანძილი მითითებულზე ნაკლებია, მაშინ პანელი უნდა იყოს არ აალებადი მასალის. ყოველთვის დატოვეთ მანძილი მინიმუმ 5 მმ

პანელს და მოწყობილობას შორის. პანელის მაქსიმალური ზომა: 30 მმ (სისქე) x 70 მმ (სიმაღლე).

■ დაამუშავეთ ჭრილის ზედაპირი ხის სამუშაო ზედაპირზე სპეციალური წებო-ჰერმეტიკით სინესტისგან დასაცავად.

### ავეჯის მომზადება სტანდარტული ჩაშენებისთვის (a)

■ გამოიყენეთ 20-დან 50 მმ-მდე სისქის სამუშაო ზედაპირები.

**შენიშვნა:** 12-დან 20 მმ-მდე სისქის სამუშაო ზედაპირები საჭიროა გამოიყენოთ განმბჯენით, რომელიც შეგიძლიათ შეიძინოთ ტექნიკურ სერვისულ სამსახურში.

### მონტაჟი გამოსაწევ სექციაზე ან კარადაზე

⚠ **გაფრთხილება – დამწვრობის საშიშროება!**
ექსპლუატაციის დროს, ღია ნაწილები შეიძლება გაცხელდეს.
თუ სახარში პანელის ქვემოთ არ არის ჩაშენებული ღუმელი და წვდომა ქვედა ნაწილზე ღიაა, დაიცავით შემდეგი მითითებები:

გაზის სახარში პანელის Wok-ის სანთურით მონტაჟის დროს, ჩადგით არაწვადი შუალედური თარო (მაგალითად, ლითონის ან ფანერისგან) სამუშაო ზონიდან 10 მმ დაშორებით.
→ *გამ.* **3**

გაზის სახარში პანელის მონტაჟისას Wok-ის სანთურის გარეშე, რეკომენდებულია შუალედური თაროს მოწყობა სამუშაო ზონის წინ.
→ *გამ.* **4**

ორივე შემთხვევაში მანძილი შუალედურ თაროსა და მოწყობილობის შორის უნდა იყოს მინიმუმ 10 მმ.
შუალედური თაროს სისქე უნდა შეესაბამებოდეს ნახატზე მითითებულ მანძილებს.

### ჩაშენება ღუმელის ზემოთ

→ *გამ.* **5**

## მოწყობილობის პოზიციონირება

**შენიშვნა:** არ მიაწებოთ მოწყობილობა სამუშაო ზედაპირს სილიკონით.

1. დადეთ კონფორი ქვედა მხარით ზევით თანაბარ მდგრად ზედაპირზე.
2. მიაწებეთ მოყოლილი თვითწებვადი შემამჭიდროებელი, სამუშაო ზედაპირის ჭრილის ნაპირებზე. თვითწებვადი შემამჭიდროებელი აფერხებს სითხის მოხვედრას.
   → *გამ.* **6**
3. ჩაატრიალეთ კომპლექტში შემავალი მომჭერები მითითებულ პოზიციაზე, რათა თავისუფლად ტრიალებდეს.
   → *გამ.* **7**
4. გადააბრუნეთ კონფორი და ჩააყენეთ ჭრილში. დააყენეთ კონფორი ჭრილში, მარჯვენა მხარე ზევით იყოს აწეული.
   → *გამ.* **8**
5. მოატრიალეთ მომჭერები და ისინი დაფიქსირდება.
   → *გამ.* **9**
   მომჭერების პოზიცია დამოკიდებულია სამუშაო ზედაპირის პანელზე.

## მოწყობილობის დემონტაჟი

1. გამორთეთ ელექტროენერგიის და გაზის მიწოდება მოწყობილობაზე.
2. ამოატრიალეთ მომჭერები და შეასრულეთ მოქმედებები უკუ თანმიმდევრობით.

## გაზის ჩართვა

გაითვალისწინეთ ქვეყნის სავალდებულო რეგულაციები.

⚠ **გაფრთხილება – აფეთქების საშიშროება!**
გაზის გაჟონვამ შესაძლოა გამოიწვიოს აფეთქება.

▸ ჩართვის შემდეგ ყოველთვის შეამოწმეთ მათი ჰერმეტულობა.

■ ჩართეთ გაზის შტუცერი ისე, რომ ჩამკეტ სარქველთან თავისუფალი წვდომა იყოს უზრუნველყოფილი.
■ დარწმუნდით, რომ მონაცემები ტიპის ნიშნულზე, რომელიც შეეხება გაზის ძაბვას, ტიპს და წნევას, შეესაბამება მიერთების ადგილობრივ პირობებს.
■ ჩართეთ მოწყობილობაში მყარი გაზგაყვანილობის მილი ან დრეკადი ლითონის მილი.
■ ლითონის დრეკადი მილი არ უნდა ეხებოდეს ავეჯის გამოსაწევ ელემენტებს, რომელშიც ჩაშენებულია მოწყობილობა (მაგალითად, უჯრა), და არ შეიძლება კარადის შიდა სივრცეში ჩაფენა, სადაც ის შეიძლება დაბრკოლებად აღმოჩნდეს.
■ არ შეურიოთ და არ მოღუნოთ კუთხური შეერთება გაზის ჩართვისთვის.

### გაზის ბალონთან ან თხევადი გაზის ცისტერნასთან მიერთება

▸ მაღალი ან არასტაბილური ცეცხლის შემთხვევაში შეამოწმეთ, რამდენად გამართულად მუშაობს გაზის ბალონის ან თხევადი გაზის ცისტერნის რეგულატორი.

**შენიშვნა:** შეგიძლიათ წნევის მცველი სარქველის დაყენება, რომელიც გაზის ბალონის ან თხევადი გაზის ცისტერნის რეგულატორის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ზღუდავს ან წყვეტს გაზის მიწოდებას.

### სათადარიგო ნაწილები გაზის ჩართვისთვის

გაზის შეერთების ელემენტების შეძენა შესაძლებელია სერვისულ სამსახურში, თუ ასეთი შეერთების პროცედურა არ ეწინააღმდეგება ადგილობრივ რეგულაციებს.
→ *გამ.* **10**

### გაზის შტუცერი 1/2

→ *გამ.* **11**

### გაზის შტუცერი G 1/2

1. შეცვალეთ კუთხური შეერთება მოწყობილობის გაზის ჩართვისთვის, გაზის ჩართვის კუთხური შეერთებით G 1/2, რომელიც შედის კომპლექტში.
   → *გამ.* **12**
2. ჩასვით შემამჭიდროებელი მოწყობილობის გაზის შტუცერს და გაზის წყაროს შორის.

→ *გამ.* **13**

### LPG გაზის რეზინის შლანგის მიერთება

მოწყობილობის გამოსასვლელ აპარატზე დამოკიდებულად შეასრულეთ შემდეგი ნაბიჯებიდან ერთ-ერთი:

1. დაამაგრეთ შემამჭიდროებელი რგოლი და მილი მოწყობილობის შესაშვებ არხზე და მაგრად მოუჭირეთ მილტუჩს. ჩასვით რეზინის შლანგი მილის ბოლოში და მაგრად მოუჭირეთ შლანგის სამაგრ ჭანჭიკს.
   → *გამ.* **14**

2. დაამაგრეთ მილი მოწყობილობის შესაშვებ არხზე და მაგრად მოუჭირეთ მილტუჩს. ჩასვით რეზინის შლანგი მილის ბოლოში და მაგრად მოუჭირეთ შლანგის სამაგრ ჭანჭიკს.
   → გვ. 15
3. ჩასვით რეზინის შლანგი მილის ბოლოში და მაგრად მოუჭირეთ შლანგის სამაგრ ჭანჭიკს.
   → გვ. 16

## ელექტრული შეერთება

- ეს მოწყობილობა ეკუთვნის Y ტიპს: ქსელის კაბელის შეცვლა შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მომსახურების ცენტრის სპეციალისტის მიერ. გაითვალისწინეთ კაბელის ტიპი და მინიმალური კვეთა.
- კონფორები მოწოდებულია ქსელის კაბელით, შტეფსელის ჩანგლით ან მის გარეშე.
- ქსელის კაბელი შეგიძლიათ შეცვალოთ მხოლოდ მსგავსი, მომსახურების ცენტრში შეკვეთილით.
- არ გამოიყენოთ დამაგრძელებელი კაბელები, ან მრავლობითი შტეფსელები.
- ჩართეთ მოწყობილობები შტეფსელის ჩანგალით მხოლოდ სათანადოდ დამიწების კაბელის მქონე როზეტში.
- ჩართეთ მოწყობილობა სტაციონალური დაყენების ადგილზე შესაბამისი გამყოფით სამონტაჟო ინსტრუქციის შესაბამისად.

→ გვ. 17

- BN: ყავისფერი
- BU: ლურჯი
- GN/YE: ყვითელი და მწვანე

## გაზის სხვა ტიპზე გადაყვანა

შეგიძლიათ მოწყობილობის გადაკეთება გაზის სხვა ტიპზე სამუშაოდ, რომელიც მითითებულია ტიპის ნიშნულზე, თუ მსგავსი მოქმედებები არ ეწინააღმდეგება რეგიონალურ ნორმებს. ამისათვის საჭირო დეტალები მოჰყვება მოწყობილობას, ან შეგიძლიათ შეიძინოთ მომსახურების ცენტრში. ცხრილში → გვ. ▮ თქვენ იპოვნით კომბინაციებს შესაბამის სანთურაზე და გაზის ტიპზე.

| | |
|---|---|
| C | დამატებითი სანთურა |
| D | ნორმალური წვის სანთურა |
| E | ძლიერი წვის სანთურა |
| F ⊗ | სანთურა Miniwok ფართო მოდების ალით |
| F ◎ | სანთურა Miniwok ფართო მოდების ალით |

### ონკანების რეგულირება

1. მართვის სახელურები მინიმალურ სიმძლავრეზე დააყენეთ და ამოიღეთ. მოხსენით მართვის ელემენტის ძირი.
2. მიაწექით დრეკადი რეზინის დამჭერს სახრახნისის ბოლოთი, რათა მიიღოთ წვდომა რეგულირებად ჭანჭიკებთან.
   → გვ. 18, → გვ. 19
   არასოდეს მოხსნათ შემამჭიდროებელი რგოლი. საიზოლაციო რგოლები ხელს უშლის სითხისა და ჭუჭყის შეღწევას მოწყობილობის შიდა სივრცეში, რომელსაც ფუნქციის დარღვევის განპირობება შეუძლია.
3. ღარიანი სახრახნისით რეგულირებადი ჭანჭიკების დაყენებისას (M) გაითვალისწინეთ ინფორმაცია, რომელიც მოყვანილია ცხრილში .
   - A: საიმედოდ დაჭიმეთ რეგულირებადი ჭანჭიკები.
   - B: მოატრიალეთ რეგულირებადი ჭანჭიკები მანამდე, სანამ გაზი არ დაიწყებს სანთურებიდან გამოსვლას სათანადოდ.

### ფრქვევანების გამოცვლა

1. მოხსენით გისოსები, სანთურას თავსახურები და გამანაწილებელი.
2. ფრქვევანები ადგილზე დააყენეთ, შესაბამისი გასაღების გამოყენებით და ფრთხილად მოუჭირეთ, რათა უზრუნველყოთ ჰერმეტულობა.
   → გვ. 20, → გვ. 21
   დარწმუნდით, რომ ფრქვევანა არ გამოირთო მოხსნისას ან დაყენებისას.

### მოწყობილობის განმეორებითი დაყენება

- ► მოწყობილობის ელემენტები უკუ თანმიმდევრობით დააყენეთ.

### ფუნქციონირების შემოწმება

1. დარმწუნდით, რომ მოსატრიალებელი სახელურის მოტრიალებისას მაქსიმალურ და მინიმალურ პოზიციას შორის სანთურა არ ქრება და არ ჩნდება ნაპერწკალი.
2. სანთურიდან გაზის არასწორი გამოდინებისას:
   - შეამოწმეთ ფარსუნკის შესაბამისობა რეგულირებად ჭანჭიკთან ცხრილის მიხედვით.
   - მოქაჩეთ ან მოადუნეთ სამაგრი ჭანჭიკი, რათა დაარეგულიროთ გაზის სწორი გამოდინება სანთურიდან.

### გაზის სხვა ტიპზე გადაყვანის დოკუმენტირება

- ► საინფორმაციო ნაკლეიკა გამოყენებადი გაზის ახალი ტიპის შესახებ მიაკარით ტიპის ნიშნულთან ახლოს.